



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 186
07/02/2018

186-02-4-201802071245



საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი 2018“-ის მონაწილე „ონის მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი კონკურსის ჩატარების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართელობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ**:

1. დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილებას სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებამდე სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელება შეათანხმოს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან“. ასევე, ონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილებამ უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვისათვის აუცილებელი სხვა პროცედურების განხორციელება;
2. ბრძანების პირველ მუხლში აღნიშნული სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თანხმობის მიღების შემდეგ დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის მერიას საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შეყიდვების განყოფილებას მოახდინოს მედია პროექტ „ეტალონის“ ინტელექტუალური მომსახურების ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელება ღირებულებით 2960 (ორი ათას ცხრასს სამოცი) ლარი;
3. დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურს ორგანიზება გაუწიოს და ხელი შეუწყოს კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებას. უზრუნველყოს პროექტში მონაწილე მოსწავლეებისა და მათი გულშემმატკივრების ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი 2018“-ის ღონისძიებაზე დასწრების ორგანიზება;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (ლევან შერაზადიშვილი).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ამბროლაური, მ.კოსტავას ქუჩა N13) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'ემზარ საბანაძე', written in a cursive style.

მუნიციპალიტეტის მერი

.